მდინარე თერგის აუზის ჰიდროლოგიური რეჟიმი და მისი საზღვრისპირა მნიშვნელობის შეფასება

ია ჩქარეული

ელ-ფოსტა: chkareuliia20@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

მდინარე თერგის აუზი, როგორც ტრანსსასაზღვრო ჰიდროგრაფიული ერთეული, წარმოადგენს სტრატეგიულ ზონას, იგი მნიშვნელოვანი რესურსია როგორც რეგიონის წყალმომარაგებისათვის, ასევე წარმოადგენს გარემოს საჭირო რეკრეაციულ კომპონენტს. მუდმივად ცვალებადი პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მდინარე თერგის აუზის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა და მართვასთან დაკავშირებული გამოწვევების ანალიზი, ასევე მისი ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ ამ რეგიონის მდგრადი განვითარების პოტენციალს.

კვლევაში გამოყენებულია ჰიდროლოგიური მონიტორინგის მონაცემები, კარტოგრაფიული მასალები, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (GIS), ასევე არქივიდან მოპოვებული ისტორიული რუკები და დოკუმენტები. ანალიზი ეფუძნება როგორც ობიექტურ მეცნიერულ მონაცემებს, ასევე კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტის გააზრებას. შედეგად, წარმოდგენილია დასკვნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდინარე თერგის აუზის ინტეგრირებულ მართვას და ეკოსისტემური სტაბილურობის შენარჩუნებას.